ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №9

21.02.2018 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

14:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, თარაშ შურღაია, ლევან ჯაფარიძე, ლევან ჟორჟოლიანი, გიორგი დოხტურიშვილი, ლევან ხაბეიშვილი, ელენე ოზაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. **რევაზ სოხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. **დავით უჯმაჯურიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. **დავით უთმელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. **ბექა დავითულიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. **ვახტანგ შაქარიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. **თევდორე ისაკაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. **ვლადიმერ ჭიღლაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი;
2. **გიგა გიგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსად წარდგენილი კანდიდატი;
3. **რუსუდან მირზიკაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსად წარდგენილი კანდიდატი.

სხდომის გახსნამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა და ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბ-ნმა რევაზ სოხაძემ დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და აცნობა, რომ მიმდინარე სხდომა წარიმართება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის სრული დაცვით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების მუხლი 30) გარემოს დაცვის, ასევე, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების ერთობლივი სხდომის ფორმატში.

ბ-ნი რევაზ სოხაძის სიტყვით გამოსვლის შემდეგ, გარემოს დაცვის კომისიის სხდომას წარუძღვა (თავმჯდომარეობდა): ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის თავმჯდომარე ბატონი ერეკლე კუხიანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსად გიგა გიგაშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 15 თებერვლის №12-031804637-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი - ვლადიმერ ჭიღლაძე/

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსად გიგა გიგაშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 15 თებერვლის №12-031804637-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ვლადიმერ ჭიღლაძემ.

მომხსენებლის (ვ. ჭიღლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-11 დადგენილებით დამტკიცდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულება“ (აღნიშნული დადგენილება ძალაში შედის 2018 წლის 22 თებერვლიდან), რამაც გამოიწვია დღეს არსებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და საქალაქო სამსახურის სახელწოდებისა და ფუნქციების შეცვლა. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე და შესაბამისი პროცედურების დაცვით, დღის წესრიგში დადგა ფუნქციურად და დასახელებით ახალი

საქალაქო სამსახურის უფროსის კანდიდატის წარდგენისა და საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის საკითხი.

მომხსენებლის ბ-ნი ვლადიმერ ჭიღალძის განმარტებით, ბ-ნი გიგა გიგაშვილი არის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსი და ინფორმაცია მისი განათლებისა და სამუშაო გამოცდილების შესახებ თან ერთვის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსად გიგა გიგაშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს.

მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 2

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით

გადაწყვიტეს:

1. დადებითად შეაფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ ა/წლის 15 თებერვლის №12-031804637-03 წერილით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსად გიგა გიგაშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ერეკლე კუხიანიძე